საქართველოს მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 243

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, ივლისი 19

1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ბათომის საქალაქო კომიტეტი

ამით აცხადებს პარტიულ ამხანაგების საყურადღებოდ, რომ ის ამხანაგები, რომლებიც არ არიან რეგისტრაციაში გატარებული, ვსთხოვთ დაუყოვნებლივ გამოცხადდენ რეგისტრაციაში გასატარებლად ივანე ბარამიძესთან ან სამსონ ებრაელიძესთან 3 საათიდან 4 საათამდე. ბაქოს ქ. № 70.

ბათომის კომიტეტი.

განცხადება

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილება ამით აცხადებს,

რომ უკანასკნელი ვადა 1922 წ. საბინაო დავთრების შეძენისა არის 15 ივლის. 15 ივლისამდის ვინც არ შეიძენს საბინაო დავთარს, ის იქნება დაჯარიმებული თანახმად აღმასკომის № 4 სავალდებულო დადგენილებისა, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტი“-ს ა/წ. 22 აპრილს № 88-ში.

სამმართველოს განყოფილება.

გაერთიანებული ფრონტის საკითხი გერმანიის სინამდვილეში

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გერმანიის თანამედროვე მდგომარეობა და ის ძალთა დაპირისპირება, რომელიც ხდება ამ ქვეყნის იქ, არსებითად აჩვენებს სოციალური კლასების განწყობილებასა და მათს პოლიტიკურს მისწრაფებებს.

შავი რეაქციის ამოძრავებამ გერმანიაში დაჩაგა პოლიტიკური ცხოვრების ძაფები და ყოველი ჯგუფი სცდილობს თავისებური პროგნოზი დაუვსებ მომხდარ ამბებს.

რეაქციამ გერმანიაში საკმაოთ გაიდგა ფესვები, ის გაიზარდა და გაძლიერდა იმ პოლიტიკის წყალობით, რომელსაც აწარმოებდა არსებული მთავრობა სოციალური ძალთა მიმართ. ამ პოლიტიკას ერთი უდიდესი მესაქე და მოზიარე იყო გერმანიის სოციალ-დემოკრატია. ეს პარტია თავიდანვე შევიდა პოლიტიკურს კოალიციაში ბურჟუაზიულ ელემენტების მემარცხენე ფრთასთან და შეუთანხმებლად განაგრძნენ ისე გერმანიის საქმეებს.

თავიდანვე ამ კოალიციონური მთავრობის პოლიტიკა ყალბ ნიადაგზედ იქმნა დაყენებული და სწორი და ნათელი ხაზი მას არ ეხასიათებდა. კოალიციონური მთავრობის პოლიტიკა არსებითად რეაქციისა და რევოლიუციის, ფეოდალიუნკრებსა და მუშათა კლასს შორის ქანაობდა და ასეთ ყოფაში ის ვერ ნახულობდა სწორს ნიადაგს თავისი პოლიტიკის დასაყრდენად. ფაქტიურად გერმანიის მთავრობის მთელი სამოქმედო გეგმები მუშათა კლასის წინააღმდეგ იყო გამოსული და მრავალჯერ იქნა დარღვეული მათი ავიზაკური მოქმედების წყალობით პროლეტარიატის ორგანიზაციები. შავი რეაქციის ძალები კი თავისუფლად განაგრძობდნენ მოქმედებას და მაგარი ორგანიზაციებიც შექმნეს გერმანიის ყოველს კუთხეში.

ცხადია ასეთი არანორმალურმა განვითარებამ გერმანიის პოლიტიკური ცხოვრება არა ნორმალურს პირობებში ჩაგდო და იგი მუდამ ემსახურა ექსპლოატაციისა და არეულობების წინაშე სდგას.

ამ ქვეყნად შავი რეაქცია ლამობს ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და მონარქიზმის აღდგენას გერმანიაში. როგორც აღვნიშნეთ ამ მონარქისტულს მოძრაობას ხელი შეუწყო და განმტკიცა იგი კოალიციონური მთავრობის პოლიტიკამ, რაშიაც მეტად დიდ როლს თამაშობდა სოც.-დემოკრატიული პარტია.

ვისაც სურს ამ რეაქციის აღმოფხვრა და რევოლიუციის მდგომარეობის აღდგენა გერმანიაში, მან გვერდი უნდა აუაროს ძველს პოლიტიკას და ახალი გეგმებითა და პროგრამით უნდა შეუდგეს ცხოვრების მოწესრიგებას. ასეთი არის პოლიტიკური ცხოვრების მკაცრი მოთხოვნილება. პოლიტიკური გეზისა და პროგრამის შეცდომები ნათელი ხდება ძალიერ ხშირად ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების შემდეგ. რეალური სინამდვილე მთელი თავისი სისასტიკით აჩვენებს პოლიტიკური გეზის შემცდარ ნაბიჯებსა და აჩვენებს მისს უარყოფით მხარეებს. გერმანიის მთავრობისა და სოც. დემოკრატიული პოლიტიკის შედეგმა ნათელი გახდა მისი ცხოვრებაში გატარებით, თითქმის ოთხი წლის პრაქტიკული საქმიანობით. ამ პოლიტიკამ ვერც საგარეო ურთიერთობაში, ვერც გერმანიის შინაურ ცხოვრებაში ვერავითარი გაუმჯობესობა ვერ გამოიწვია და მთელი გერმანიის კულტურული ერი უსაშინელეს მდგომარეობაში ჩაგდო.

ცხადია, გერმანიის დარღვეული და აწეწილ-დაწეწილი ცხოვრება მოითხოვს ახალ პოლიტიკის წარმოებას, ახალი სამოქმედო პლატფორმის გამომუშავებას. ეს შესაძლებელი არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელი წრეები ძირიანად შეუდგებიან თავიანთი ძველი პოლიტიკის გადამუშავებას და მის ახალ პირობებთან შეფარდებას. ეს გარემოება კი გამოიწვევს პოლიტიკურ პარტიათა შორის გადაჯაჭვებისა და ახალ კოალიციების შექმნას.

როგორც აღვნიშნეთ, გერმანიის სინამდვილემ ორგვარი კოალიციის შესაძლებლობა მოგვცა; ერთის მხრით, კოალიცია მემარჯვენე სოციალისტებისა და ბურჟუაზიის შორის, მეორეს ხრით კი კოალიცია სოციალისტურს პარტიათა შორის. პირველი კოალიციის შედეგები ჩვენს თვალწინ არის. ამ კოალიციამ ვერ იხსნა გერმანია მონარქიზმისაგან და უფრო გააძლიერა შავი ძალების მუშაობა იქ. გერმანიის პირობები დაჟინებით მოითხოვს მეორე კოალიციის მქონეს, მუშათა მასების გაერთიანებას, სოციალისტური პარტიების შეთანხმებას და ნამდვილი რევოლიუციონური პოლიტიკის წარმოებას. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი შავი რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლა, მხოლოდ ამ მეთოდებით შეიძლება რევოლიუციის მონაპოვარის უზრუნველყოფა. ბურჟუაზიული კოალიციონური მთავრობა უძლურია აღმოფხვრას და განდევნოს სახალმწიფო აპარატიდან რეაქციის ძალები, სოციალისტური პოლიტიკა კი შესაძლებელს ხდის ამ აპარატის მავნე ელემენტებისაგან გაწმენდას.

ამ გვარად, დღეს გერმანიაში მორიგ საკითხად სდგას მუშათა მთავრობის შედგენა, სოციალისტური ელემენტების ერთი საერთო პლატფორმის გარშემო შემოკრეფა. ეს ფორმა სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა უნდა შეიქმნეს გარდამავალ სახეთ ხაბჭოთა სისტემის დაწყარებისაკენ. გერმანიის სინამდვილე მოითხოვს ასეთი გარდამავალი ფორმის განვლასაც პროლეტარიატისაგან და დღეს რევოლიუციონური ელემენტები მორიგ ლოზუნგად აყენებენ მას.

ასეთია ცხოვრების მოთხოვნილებანი. გერმანეთის პოლიტიკური ცხოვრების ვითარებამ ამ ოთხიოდე წლის განმავლობაში ნათლად დაგვანახვა, რომ ხანა მხოლოდ მუშათა რიგების გაერთიანებაშია, მათი საერთო გეგმა ამოძრავებაში მდგომარეობს.

რას ფიქრობს ამის შესახებ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია და დამოუკიდებელი; როგორია მათი დღევანდელი პოლიტიკა? როგორც აღვნიშნეთ, კოალიციამ ბურჟუაზიასთან გამოიწვია ის დიდი არეულობა, რომლის წინაშე დღეს სდგას გერმანიის ხალხი. მენშევიკურმა პარტიამ ამ კოალიციაში თავისი შესაფერისი როლი ითამაშა და ის დიდი მონაწილე არის ამ შემცდარ ნაბიჯების.

შეაგნეს თუ არა მემარჯვენეებმა თავიანთი შემცდარი პოლიტიკა?

როგორც უცხოეთიდან მოსული დეპეშები გადმოგვცემენ, მემარჯვენე სოციალისტები კვლავ განაგრძობენ ძველს ნიადაგზედ დგომას და გეფიცებით სცდილობენ კოალიციაში შევიდნენ არა მუშათა წრეებთან, არამედ ბურჟუაზიულ ელემენტებთან. ამით მათ ერთხელ კიდევ დამტკიცეს, რომ არ შესწევთ ძალა პოლიტიკური კვეთილი გასწყვიტონ ბურჟუაზიასთან და კვლავ განგრძობენ ძველ დაწყებული პოლიტიკის გზით სიარულს. მეუფრავლესე ესდეკების პოლიტიკა თავიდანვე კოალიციონურს ნიადაგზედ იყო აგებული და ბურჟუაზიას მისდევდა კუდში. დამოუკიდებელნი ს.-დ.—ბი კი ორპოფულს პოლიტიკას აწარმოებდნენ და კოალიციონურ მთავრობას და კომუნისტებს შორის ქანაობდნენ.

ამ ქამად ეს პარტია დიდს ბრძოლას განიცდის, მათში დიდმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი და მემარჯვ. და მემარცხ. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. დღეს ამ პარტიის უმეტესობა მარჯვენა არის კოალიციონურ მთავრობაში შესვლის. ამ გვარად მემარჯვენე სოციალისტები ძველს ალაგს ეკვეანენ და სრულებით ვერ აართვეს ადგილი ცხოვრების მოთხოვნილებებს. მაგრამ, თუ მემარჯვენე სოციალისტები ბურჟუაზიისაკენ მიიწევენ კოალიციაში, სამაგიეროთ ბურჟუაზია სულ მარჯვენით ეხრება და შეუძლებელი შეიქნა მოლაპარაკების დამთავრება სოციალისტებთან. უკანასკნელთა ორგანოები „ფორვერტსი“ და „ფრეიჰეიტი“ ილაშქრებენ კოალიციონურ პარტიების წინააღმდეგ და მოითხოვენ შეთანხმებულ მთავრობის შედგენას, რომელშიაც დამოუკიდებლებიც შევლენ. ამ გვარად, მემარჯვენე სოციალისტები საჯარო ვაჭრობას აწარმოებენ ბურჟუაზიულ პარტიებთან და ხანრიბილენით, ხან კი დ მუქრებით სცდილობენ დაიყოლიონ ბურჟუაზია კოალიციაზე. კომუნისტურმა „როტე ფანემ“ სამართლიანად მონათლა დამოუკიდებლების მთავრობაში შესვლა ახალ სამარცხვინო ლავატის სახელით პროლეტარიატის მიმართ.

როგორს შედეგებამდე მიიყვანს რევოლიუციას მემარჯვენე სოციალისტების პოლიტიკა და ამიტომ პროლეტარიატი დამოუკიდებლივ გაერთიანდა, გაიმაგრა თავისი ძალები.

ეს არის ახალი ხანა, ახალი პერიოდი გერმანიის მუშათა წრეების ცხოვრებაში. საერთაშორისო ომის დაწყებიდან და რევოლიუციის პროცესშიაც მუშათა კლასი მოწინააღმდეგე ჯგუფად იყო დაყოფილი. დღეს, შავი რეაქციის გამოლაშქრებამ გერმანიის პროლეტარიატი ერთის მიზნით გაერთიანა და ამავარად იქნება ძლიერ პროლეტარული მუშტი პოლიტიკური ძალაუფლების რევოლიუციონერთა ხელში გადასასვლელად.

ხ. დევიანი

წინეთ და ეხლა

„რუსეთის დიდი რევოლიუცია უდიდესი მოვლენაა მსოფლიო ისტორიაში. მან დიდი ლოზუნგები გადაისროლა, მას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო რუსეთისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის“.

„სახალხო საქმე“ 1920 წ.
(გ. ლასხიშვილის სიტყვა)

თუ თქვენ გსურთ გაიცნოთ პოლიტიკური პარტია მას უნდა მ ეკმინოთ, მაგრამ ნათქვამი შემდეგ ფაქტებზე უნდა შეამოწმოდ. შეიძლება სპეკულიაცია პოლიტიკაში და ეს ხშირად ხდება კიდეც ასეთ შემთხვევებში ერთია სიტყვა. დეკლარაცია, ლოზუნგი, მეორე საქმე, პრაქტიკა, რეალობა.

ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს ჩვენი ყოფილი ამხანაგების პოზიცია და ტაქტიკა რუსეთის დიდი რევოლიუციის მიმართ, როდესაც რუსეთში ოქტომბრის რევოლიუცია მოხდა „სახალხო საქმე“ სოც.-ფედ. პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო, დიდი აღფრთოვანებით მიეგება მას და უწოდა დასაწყისი დიდი პროლეტარული რევოლიუციისა. მაშინ „სახალხო საქმემ“ სწორი დიაგნოზი აუღო რუსეთის რევოლიუციას. მაგრამ შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, რასაკვირველია არც რევოლიუციაში, არამედ ჩვენი ყოფილი ამხანაგების აზროვნებაში.

რამდენათაც რუსეთის რევოლიუცია გამტკიცდა და გაფართოვდა და რამდენათაც მენშევიკების „დემოკრატიზმით—სოციალიზმისაკენ“ საქართველოში პოლიტიკური აზროვნების ცენტრალ ფიგურად გახდა, იმდენად „სახალხო საქმის“ გარშემო შეკრებილი მწერლების უმრავლესობამ უკან დაიხია რუსეთის დიდი რევოლიუციის შეფასებაში და მენშევიკური საზომით მიუდგა სოციალურ მოძრაობას.

დღეს, როდესაც ჩვენ რუსეთის ხელისუფლებას მშრომელთა ხელისუფლებას ვეძახით და რუსეთით დაწყებულ მოძრაობას „დიდ რევოლიუციას“ ჩვენი მემარჯვენენი ყალხზე შეიგებიან ხოლმე და ამისათვის „მოღალატის“ სახელსაც კი არ იშურებენ ჩვენთვის. ამ ხალხს ავიწყდება, რომ გუშინ თითონ გაიძახოდა იმის, რასაც დღეს ჩვენ კვლავ ვიმეორებთ და რისთვის ვიბრძვით.

რა შეიცვალა მას შემდეგ? რევოლიუცია თუ მემარჯვენეთა აზროვნება? რა თქმა უნდა უკანასკნელი. ეროვნულ ფრონტის დადადისით პარტიამ ზურგი შეაქცია სოციალისტურ ფრონტს და ისიც დაივიწყა, რომ მხოლოდ რევოლიუციის გზით და სოციალიზმის საშუალებით შეიძლება ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა და მისი გამტკიცება.

მემარჯვენე ფედერალისტებს, რევოლიუციის შეფასებაში ისეთივე ბედი ეწვა თითქმის, როგორც მენშევიკებს, მანამ მენშევიკების ტაბტი მაგრად იდიდგა რუსეთში, მანამდე რუსეთი იყო კულტურისა და რევოლიუციის აკვანი ხოლო როდესაც მენშევიზმი ისტორიის მიერ გამოცოცხლილი იქმნა რუსეთიდგან, რუსეთი ანარქიის სამეფოდ გადაკეთდა, გაველურდა, გაირყვნა და დაეცა. ასეთი იყო მენშევიკების პოზიცია, რუსეთის მიმართ აქ, მთელ ამ სიყალბით და სიბინძურის ქაოსში ოდნავი ლოღიკა მაინც იყო, რომელიც მდგომარეობდა რუსეთში ხელისუფლების შეცვლაში, მაგრამ მემარჯვენე ფედერალისტებმა ერთი და იგივე რევოლიუციი, ერთი და იგივე ხელისუფლება, ერთი და იგივე მოვლენა შეაფასა სულ სხვა და სხვა ყაიდაზე და სულ სხვა და სხვა კვალიფიკაციით.

რას ნიშნავს ეს ეს ნიშნავს პოლიტიკური პარტიის უპრინციპობას და უჭეშტობას, ეს ნიშნავს პოლიტიკური ორგანიზაციის სულ არარაობას.

წინეთ, რევოლიუციის შეფასებაში ჩვენ ვიყავით დღევანდელ მემარჯვენე ფედერალისტებთან და ჩვენთან იყვნენ ისინი, დღეს ჩვენ კვლავ ძველ ნიადაგზე ვდგევარ და ვიმეორებთ მათ სიტყვებს „რუსეთის დიდი რევოლიუცია უდიდესი მოვლენაა მსოფლიო ისტორიაში“ ისინი კი სხვა ჰანგებზე მღერიან და გუშინ მათ მიერ დასახული მევლენა რევოლიუციად და ისიც „დიდ რევოლიუციად“, დღეს მათივე აზრით რეაქცია, ანარქიისა, ბუნტით

ჩვენ სავსებით ვდგევართ რუსეთის რევოლიუციის ნიადაგზე და ვეუბნებით ჩვენს ხალხს, რომ ამით შეიძლება ერის ხსნა, ერის გადარჩენა. მემარჯვენე ფედერალისტები კი შეიძლება ხვად სულ სხვა აზრებს წაიწყდენ. მათვის როგორც ვხედავთ არ არსებობს პრინციპი და ლოღიკა, მაგრამ ასეთი ხალხის „მოღვაწეობა“ ხომ ყველასათვის ნათელი და აშკარაა.

რა იყვენ გუშინ, მემარჯვენე ფედერალისტები რანი არიან დღეს და რანი იქნებიან ხვალ? ამის პასუხს ვერავინ შეძლებს და მით უფრო თვით მემარჯვენენი, რადგან მათ აზროვნებაში მეტამორფოზები ხშირად ხდება.

ხ. კ

მუშათა საკითხი

წინად და ეხლა*)

პირველ წერილში ვამბობდი, რომ ყველგვარი ძალა-უფლება, ე. ი. მთავრობა ამა თუ იმ სახელმწიფოში უნდა ეყრდნობოდეს ერთ რომელიმე კლასს, ვინაიდან სახელმწიფო არის კლასიური ბატონობის იარაღი. რა თქმა უნდა, დღევანდელი ძალა-უფლებაც წარმომადგენელია უმთავრესად ერთი განსაზღვრული კლასისა—მუშათა კლასის და მაშასადამე, უპირველესად ყოველისა ამ კლასის ინტერესების დამცველი. თავისთავად ცხადია, მუშათა ილასის მოწინააღმდეგე კლასები მხარში ვერ ამოუდგებიან და ხელს არ შეუწყობენ მის გაბატონებას, პირიქით, ეცდებიან მისს დაშლასა და დასუსტებას. აქედან ჩვენ შემდეგი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ: რა კი დღევანდელი ძალა-უფლება მუშათა კლასეყრდნობა, ამ ძალა უფლების უპირველესი და მთავარი მიზანი ამ კლასის ეკონომიური გაძლიერება, ნივთიერი უზრუნველყოფა უნდა იყოს, ვინაიდან, რაც უფრო ძლიერი და მაგარია ის ნიადაგი, რომელზედაც ეს ძალა უფლებაა დაყრდნობილი, იმდენათ უფრო ძლიერი და მკვიდრი იქნება თვით ეს ძალა-უფლებაც. მუშათა კლასს პოლიტიკური ძალა-უფლება სწორედ იმიტომ დასჭირდა, რომ ეს ძალა-უფლება გამოიყენოს როგორც საშუალება უმთავრეს მიზნის, ეკონომიური თავისუფლების მისაღწევად, ე. ი. სოციალიზმის დასამყარებლად, ისეთი წყობილების შესაქმნელად, სადაც ადგილი ადარ ექნება მუშათა კლასის ექსპლოატაციას, როდესაც მუშა თვითონვე გახდება თავისი შრომის ნაყოფის ბატონ-პატრონი და ყოველგვარ პარაზიტ-მოზიარესაგან თავისუფალი... მაგრამ სოციალიზმი დღესდღეობით ისევ შორეულ მიზნად რჩები და მუშათა კლასს და მისს მთავრობას არ შეუძლია დღევანდელ გარდამავალ ხანაში „ახალი ეკონომიური პოლიტიკის“ განხორციელების პერიოდში მუშა კლასის სადღეისო საჭიროებანი, სადღეისო მოთხოვნილებანი, დღიური ეკონომია დაივიწყოს ან მიაფუჩეჩოს, პირიქით უნდა მიღებულ იქნას ყოველივე საშუალება მუშათა კლასის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ამ

*) შემდეგი იხ. „ტრიბუნა“ № 240.

კლასის ეკონომიური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ხოლო მუშათა კლასი, მშრომელი ხალხი, რომ დიდ გაჭირვებას განიცდის, მას რომ სული ეხუთება ამ გაჭირვებაში,—ეს ყველასათვის თვალ დახანახია. ჩვენ პირდაპირ წარმოუდგენლად მიგვაჩნია მუშათა კლასის იმ მდგომარეობაში დიდი ხნით დატოვება, როგორშიაც დღეს იმყოფება ის.

მეორეს მხრივ ყველასათვის ჭეშმარიტია დებულებაც, რომ მუშათა კლასის ეკონომიური კეთილდღეობა მჭიდროთაა დაკავშირებული იმ ქვეყნის საერთო ეკონომიურ მდგომარეობასთან, რომელ ქვეყანასაც მუშა ეკუთვნის. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ მაგალითად ამერიკელი ან ინგლისელი მუშის ერთის მხრივ, ხოლო ჩინელი ან სპარსელი მუშის მეორეს მხრივ, ეკონომიური მდგომარეობა ერთი და იგივე არ არის. და არც შეიძლება იყოს, ვინაიდან პირველი ორი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა შეუდარებლად უკეთესია, ვინემ სპარსეთისა და ჩინეთის. ინგლისი და ამერიკა მთელ მსოფლიო ბაზარზე ბატონობს, ამ ქვეყნების ნაწარმოებით იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას კაცობრიობის უდიდესი ნაწილი და მათ შორის, სპარსეთიც და ჩინეთიც ასე რომ თითქმის მთელი მსოფლიო ამ ორი ბუმბერაზ კაპიტალისტური ქვეყნის საექსპლოატაციო ობიექტს წარმოადგენს, რაიც საშუალებას აძლევს მწარმოებლებს აუარებელი მოგების მიღებისას, რომლის ერთ ნაწილს თავის მუშებსაც უნაწილებს. ხოლო ჩინეთი, სპარსეთი და მზგავსი ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნები სხვა ქვეყნებს ვერ გაუწევენ ექსპლოატაციას, ვინაიდან მათ არა აქვთ რა არა თუ ეცხო ბაზარზე გასატანათ, თავის საშინაო საჭიროების დასაკმაყოფილებლადაც იძულებულია საკუთარი ბაზარი სხვებს გაუხსნას. ასეთსავე მდგომარეობაშია საქართველოც. თითქმის ყველაფერი, რასაც კი ჩვენ ვხმარობთ, ვიცვამთ, ვიხურავთ, ეცხოეთიდან შემოდის; გატანით კი ნედლი მასალა თუ გაგვაქვს ეცხოეთში, სხვა არაფერი. ასე რომ ჩვენი წარმოებანი, რომელშიაც მუშები მუშაობენ, მხოლოდ საშინაო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებიან და ეცხოეთის ბაზარზე ნაწარმოების გატანას არ ისახავენ მიზნად.

აქედან აშკარაა, რაც უნდა მოინდომოს დღევანდელი ძალა-უფლება ქართველი მუშის ნივთიერი უფრო ცხოვრების რადიკალურად გაუმჯობესებას ვერ შეძლებს, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის წარმოება, როგორც ვსთქვით, მეტათ დაბალ საფეხურზედ დგას. მაგრამ მიუღებელია ის მოსაზრებაც, რომელსაც მენშევიკები აყენებდნენ—სანამ ჩვენი ქვეყნის მრეწველობა არ აყვავდება, მუშამ უნდა ითმინოს და ყოველგვარი გაჭირვება უსიტყვოდ აიტანოსო. გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ „ლოთმენით“ ჩვენი წარმოების აღორძინება შეუძლებელია, ვინაიდან, ჯერ ერთი, „ნათმენი“ მუშის მუშაობა მეტად უნაყოფო გამოდგა და მეორეც, ამ დუსრულებელ „თმენას“ მუშა ვერ ურიგდება და ის ძალა-უნებურად პროტესტანტდება. უნდა შევიგნოთ, რომ სამუდამოთ წავიდა ის დრო, როდესაც შესაძლებელი იყო მუშების ხარჯზე წარმოების ზრდა-განვითარება, მუშების სისხლით დიდი კაპიტალის შექმნა. ამას თანამედროვე მუშა ვერასოდეს შეურიგდება თავის ნებით და ძალით დამორჩილებაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. ეს ნათლად დამტკიცა მენშევიკური ძალაუფლების პრაქტიკამ და ამ პრაქტიკის ხელახალი გამეორება ხომ სისულელე იქნებოდა. მართლაც, ნეტარ ხსენებულ სატარიფო პალატის, მომრიგებელი კამერის, შრომის სამინისტროსა და, ასე გასინჯეთ, პროფესიონალური კავშირების ხელმძღვანელ ორგანიზაციათა მთელი მოქმედება იქითკენ იყო მიმართული, რომ მუშათა კლასისთვის ხელფასი შეეკრა, გასაქანი არ მიეცა, ხოლო მწარმოებლებს კი ფართო ასპარეზი ეძლეოდათ წეკა ჰაული მუშათა კლასისათვის ტყავი გაეძრო, სისხლი გაეშრო და ამნაირად ადორძინებულიყო მშობლიური ვაჭრობა-მრეწველობა, მაგრამ რა გამოვიდა აქედან? ის, რომ მშრომელი ხალხი ჩამოიშორეს, ხოლო ბურჟუაზია მეტად სუსტი უსუსური აღმოჩნდა ფ მასზე დაყრდნობა საჭიროთ, შეუძლებელი. „წინა კაცი უკანა კაცის ხიდია“, ნათქვამია და ალბათ ამ ანდაზამ წინანდელი თაობის პრაქტიკით და თეორიით უნდა ისარგებლოს და იქ არ წაიკრას ფეხი, სადაც მისმა წინამბრძოლებმა კისერი მოიტეხეს. ასე რომ შრომის ფასის საკითხი საქართველოში უნდა გადაიჭრას არა მხოლოდ წარმოების ინტერესების მიხედვით, არამედ მუშათა კლასის ინტერესების მიხედვითაც.

ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული მდგომარეობისა გამო ჩვენ მუშას უნდა შევხედოთ არა როგორც ზედმეტი ღირებულების შემქმნელს, რომლითაც უნდა აყვავდეს ჩვენი ქვეყნის წარმოება, არამედ როგორც მოხელეს, როგორც მხედარს, რომელიც თუმცა ზედმეტ ღირებულებას არა ქმნის, მაგრამ სახელმწიფოს თვის მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ავიღოთ რკინის გზა. ეს წარმოება, რა თქმა უნდა, დიდს მოსაგებს ვერ მისცემს ხაზინას მაგრამ ურკინის გზოთ ხომ სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია! ასეთივე ხასიათისაა ფოსტა-ტელეგრაფი, პოლიგრაფიული წარმოება და მრავალი სხვა, სადაც დაბანდებულია ჩვენი მუშების დიდი ნაწილი. მით უმეტეს, დღევანდელ პირობებში ჩვენი საწარმოო დაწესებულებები თვალსაჩინო მოსაგებს ვერ მისცემენ სახელმწიფოს, მაგრამ სახელმწიფომ მაინც რამენაირად უნდა გამონახოს საშუალება მუშათა მდგომარეობის შეძლებისადაგვარად გასაუმჯობესებლად.

თუ ეს ასე მოხდა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამით თვით წარმოებაც, რომლის უმთავრესი ნაწილი სახელმწიფოს ხელშია, გაცილებით მეტს მოიგებს, ვინაიდან მუშის ქონებრივათ უზრუნველყოფა, მისი გალონიერება აუცილებლად გამოიწვევს შრომის ინტენსივობას, შრომის ნაყოფიერების სათანადოდ გაზრდას. ჩვენ ვიცით, რომ მთელი ათეული წლების განმავლობაში წლევანდლამდე დაქირავებული შრომის მდგომარეობა, დღითი ღამით, წუთი წუთობით უარესდებოდა. დადგა მომენტი, შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომელსაც ან უნდა დაახშოს მუშათა კლასმა თავი, ან უნდა დაიღუპოს, ფიზიკურად მოისპოს. აქ ძალა-უფლებას და სხვა მუშათა კლასიურ ორგანიზაციებს არ შეუძლია დაშვიდებით უცქირონ, თუ რით გათავდება საქმე. ასეც არის. უკანასკნელად გადადგმული ნაბიჯი ხელფასის მომატების საქმეში, იქვე არ არის, შესაძლებელად აუმჯობესებს მუშა ხალხის მდგომარეობას, მაგრამ ამ ნაბიჯს კიდევ უნდა მოყვეს შემდეგი ნაბიჯებიც. ჩვენ აუცილებლად უნდა სამუშაო ხელფასი გავუთანასწოროთ საცხოვრებელ მინიმუმს. საბედნიეროდ ამაში ხელს გვიწყობს ჯერჯერობით ცხოვრების გაიაფება და ჩვენი ფულის კურსის განმტკიცება. თუ ასე წავიდა საქმე, ცხადია მომატების საკითხი თავისთავად მოხსნება, მაგრამ უნდა მოიხსნას დაკლების საკითხიც, რომელსაც ამ ბოლო დროს რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი ჩვენს ცხოვრებაში. არ უნდა ხელებოდეს დაკლება თუნდ იმ მარტივი მოსაზრებითაც, რომ ის ჯამაგირი, რომელსაც დღეს იღებს მუშა, მინიმუმის ნახევარიც ძლივს არის და თუ საგნების გაიაფებასთან ერთად ჯამაგირსაც დავაკლებთ, რადის ან როგორ გინდათ ამ მინიმუმის აღდგენა? ეს ერთი. მეორეც, განზარხულ ფულის რეფორმას, უნიფიკაციას, არ შეიძლება ცხოვრების გაძვირებაც არ მოჰყვეს თან და ვფიქრობთ ეს გაძვირება იმდენად საგრძნობი იქნება, რომ არა ჩვენგან ამ გაძვირებამ მუშას მდგომარეობა კიდევ უფრო არ გაუარესოს. ამას უნდა უფრთხილდეთ და ეცადოთ ხიფათი თავიდან ავიცილოთ თუ უნიფიკაციის გადადებით არა, იმით მაინც, რომ გადავიდეთ ჯამაგირების ოქროთ განაზღვრაზე.

მარტო ხელფასის საკითხით, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება მუშათა საკითხი. ხელფასზე ნაკლებათ არ გვაინტერესებს უმუშევრობის, ბინისა და სხვა საკითხები, რომელთა შესახებაც შემდეგ წერილში გვექნება ლაპარაკი.

ე. ტო—ძე.

ნარკვევი

ოქროს წარმოების კრიზისი.

როგორც ირკვევა ოქროს წარმოება ამ ბოლო ხანებში საზღვარგარეთ,—ამერიკასა და სამხრეთ აფრიკაში,—უდიდ კრიზისს განიცდის. ამერიკასა და აფრიკას ოქროს წარმოების საკითხში პირველი ადგილი უჭირავთ. ომის პროცესში და მას შემდეგაც აქ დიდმა კრიზისმა იჩინა თავი. ამ საკითხს ეხება მოსკოვის „იზვესტიას“ (№ 143) ფურცლებზე სპეციალური ინჟინერი ბოგოვინი, რომელსაც ცნობები მოყავს ამერიკის უკანასკნელ წყაროებიდან. მოგვყავს შემოკლებით ამ წერილის შინაარსი.

ქვემოდ მოყვანილი ცხრილი იძლევა ოქროს ამოღების ცნობებს ამერიკასა და აფრიკაში ოთხი წლის განმავლობაში.

	1915 წ.	1918 წ.	1919 წ.	1920 წ.	მოგება + ზარალი — 1915—20 წ.
	მილიონი დოლარი (დაახლოვებით 100 წ. ოქროს)				
შეერთებულ შტატებში	101,0	68.6	60.3	50.0	—51.0
კანადა	18.9	14.5	15.9	17.1	— 1.8
მექსიკა	6.6	16.8	15.2	13.2	+ 6.6
სულ ჩრდილო ამერიკაში	126.5	99.9	91.4	80.3	—46.2
ტრანსვაალში	188.0	174.0	172.2	168.6	—19.4
როდეზია	18.9	13.1	12.3	11.5	— 7.4
აფრიკის დანარჩენი ქვეყნები	10.7	9.9	9.3	8.7	— 2.0
სულ აფრიკაში	217.6	197.0	193.8	188.8	—28.8
სულ მსოფლიოში	470.4	383.6	365.2	339.4	—131.1

ამ ცხრილიდან ირკვევა, რომ ოქროს ამოღება შეერთებულ შტატებში ხუთი წლის განმავლობაში შემცირდა 50 პროც.-მეტად, აფრიკაში ამჟამ დროის განმავლობაში 28 პროც.

მსოფლიოში ოქროს ამოღება შეუჩერებლივ ეცემა 1915 წლიდან დაწყებული, როდესაც ის უდრიდა 470,5 მილიონ დოლარს, ხუთი წლის განმავლობაში დაეცა 131,1 მილ. დოლარით, ანუ 28 პროც.-ით.

აქედან მსოფლიოში ოქროს ამოღების შემცირებაში ამერიკის ხარჯებზე მოხდა 40 პროც. შემცირებისა, აფრიკის—დაახლოებით 22 პროც.

ესერების პროცესი

მოსკოვი. 11 ივლისი. 10 ივლისის დილის სხდომაზე ციმბირის გლეხთა კავშირის საკითხის შესახებ დაკითხულ იქნენ მოწმენი დიაკონოვი და იულიონი. უფრო ვრცელი და სწორ ცნობებს იძლევა მოწამე იულიონი, რომელიც შედიოდა ციმბირის გლეხთა კავშირის საინიციატივო ჯგუფში. კავშირის მოწყობა განზრახული იყო მთელ ციმბირის მაშტაბში. მთავარი მისი მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის ხალხური ხელისუფლების ფრონტის დაპირისპირება. ეს ლოზუნგი გულისხმობდა შეიარაღებულ ბრძოლას „უჩრედილკის“ დასაცავად გლეხთა მასიურ მოძრაობის დახმარებით. როდესაც მოწამე იულიონი გადავიდა ომსკში და მუშაობდა გლეხთა კავშირის მოსაწყობად, მაშინ ის პროგრამა, რომელიც გამომუშავებულ იქნა ნოვო-ნიკოლაევსკში, სავსებით შეუთანხმდა სახალხო სოციალისტურ პარტიის პროგრამას. იულიონი ამტკიცებს, რომ ესერების ციმბირის საოლქო კომიტეტი წავიდა წინააღმდეგ კრასნოიარსკის (გამოტოვებულია)...

მუდამ იყო ესერების პარტიაში. ამ მონაწილეობის წინააღმდეგ კავშირში პარტიული ორგანიზაციები არ მიდიოდენ. მოქმედების პირველი დღიდანვე გლეხთა კავშირის კომიტეტმა მოაწყო კავშირი ყოფილ სამხედრო პირთა სამხედრო ორგანიზაციასთან და იმ პირებთან, რომელნიც იყვნენ წითელ არმიის სასახურში. სამხედრო ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო გუსტომესოვი.

მოწმეების ჩვენების შემდეგ, თავმჯდომარე აძლევს წინადადებას ბრალდებულთ წარმოადგინონ თვისი განმარტებანი. ბრალდებულთა სახელით პირველად გამოდის რაკოვი. რომელიც ამბობს: „ესერების პარტიის სრულიად ციმბირის ყრილობა 1919 წლის მაისში და ივნისში მოქმედებდა მხოლოდ და მხოლოდ ცეკას დირექტივების მიხედვით რეაქციასთან ბრძოლის სფეროში. ციმბირში შემუშავებულ იქნა კოლჩაკის ჩამოგდების კონკრეტიული გეგმა. დაადგინა რა ებრძოლოს მას ყველა იმ მეთოდებით, რომელსაც პარტია ხმარობდა თვითმპყრობელობის დროს, ესერებმა მოაწყეს კოლჩაკის ფრონტის ზურგში აჯანყება ნოვონიკოლაევსკში. იმათ ააფეთქეს რკინის გზის ლიანდაგი. კრასნოიარსკში და ირკუტსკში აჯანყების დროს ესერებმა შეიპყრეს კოლჩაკი“.

რაკოვი გადაჭრით უარყოფს ესერების პარტიის ყოველივე დამოკიდებულებას ციმბირის ტერიტორიაზე ალმოცენებულ გლეხთა კავშირებთან. რაკოვი ამბობს, რომ კოლჩაკის დამარცხების შემდეგ, მისი არმიის მრავალრიცხოვანი ნაწილები შეიჭრენ ციმბირის შორეულ ნაწილებში. რეაქციის ძალები მიმართული იქნა იმ ნაწილების გაერთიანებისაკენ (გამოტოვებულია)... ასეთ პირობებში უპარტიო გლეხთა კავშირების მოწყობა ნიშნავდა რეაქციისათვის წინდაწინ მოფიქრებულად დახმარების ალმოჩენას. ამიტომ ესერების პარტიის ციმბირის ორგანიზაციას დასაშვებად მიაჩნდა მხოლოდ სოციალისტურ გლეხთა კავშირები.

აყალიბებს რა რაკოვის განმარტებას, სახელმწიფო ბრალდებელი კრილენკო მიდის იმ დასკვნამდე, რომ ციმბირის პრაქტიკული პირობები ხელს უშლიდენ ესერების პარტიას ეწარმოებინათ ბრძოლა ძალაუფლებისათვის და აიძულა ესერები გადაეცათ ხელისუფლება საბჭოებისათვის ობიექტიურ პირობების გამო.

გერმანიის ამბები

ერთი ნაბიჯი წინ,—ორი უკან

ბერლინი, 10 ივლისი. რეიხსტაგის იურიდიულმა კომისიამ ამოშალა რეპუბლიკის დაცვის კანონ პროექტიდან მუხლი ყოფილ სამეფო გვარეულობის წევრთა გერმანიიდან გაძევების შესახებ.

რეიხსტაგის იურიდიულმა კომისიამ შეასუსტა რეპუბლიკის დაცვის კანონ პროექტი. ნუხლი მიხელეების შესახებ შეცვლილია იმნაირად, რომ რეპუბლიკის წინაშე დაშნაშავე მოხელეები არ იქნებიან გადაყენებულნი თანამდებობიდან და არ გაძევებიან გერმანიის საზღვრებიდან, ხოლო დროებით ან სამუდამოდ იქნებიან გადაყენებულნი, მაგრამ გერმანიის საზღვრებიდან არ იქნებიან გაძევებულნი.

ხიდაყვება

ბერლინი, 10 ივლისი. მარნის ფრანკოს შეიდემნი მოითხოვდა თავდადებულ ბრძოლას რეაქციის წინააღმდეგ და რეიხსტაგის გაზიებას.

კოალიცია

ბერლინი, 10 ივლისი. მეუმრავლესობა სოციალისტები ჯერ კიდევ უარს ამბობენ მთავრობაში სახალხო პარტიასთან თანამშრომლობაზე.

მორატორიუმი

ნაუენი, 10 ივლისი. გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა ითხოვოს მორატორიუმის კომისიის აღდგენის შესახებ. ამის გამო შაბათს პარიზში გაემგზავრა სტატს-სეკრეტარები ფიშერი და შრეიდერი.

ბერლინი, 10 ივლისი. შანცერი და პუანკარე თავიანთ თანთანერის დროს ოდნავ შეეხენ საკონტრიბუციო საკითხებს და მიადწიეს შეთანხმებას, რომ თუ გერმანია ხელახლა მოითხოვს მორატორიუმს, მაშინ მოკავშირეები გამოარკვევენ გერმანიის ნამდვილ გადახდის უნარიანობას, მაგრამ ამ გამორკვევას ისინი გადასდებენ გარანტიათა კომისიიდან მოხსენების მიღებამდე, რომელიც ეხება ფინანსიურ კანტროლს.

რატენაუს მოკვლის შესახებ

ბერლინი, 10 ივლისი. პოლიციამ უნახავ პატიმრებულ სტუდენტ-იუნკერს მოხარქისტ რევენტლოვის წერილები. ერთ ერთ წერილში არ ს ცნობები იმ ნაბიჯების შესახებ, რომელიც გადადგმული იყო ლიუდენდორფისა და რუსი მონარქისტების შეხვედრის მოსაწყობათ. მეორე წერილში ნათქვამია, რომ ერთბარდმა პირდაპირი კავშირი გაება მოსკოვთან. გარდა ამისა დაპატიმრებულს უნახავს მისი ანგარიში მიუნხენში მოგზაურობის ფონ-ია გოვის პროცესის დროს. რევენტლოვი გაიწვიეს პოლიციის პრეზიდენტ ნ.

პოლიციამ გამოაშკარავა ინტენერ კურიერის მონაწილეობა რატენაუს მკვლელობაში. დღევანდლამდის დაპატიმრებულია მკვლელობაში მონაწილეობისათვის 30 კაცი.

სოციალისტები მთავრობაში

ნაუენი, 10 ივლისი. გაზეთ „ფერფერტსის“ აზრით, სოციალ-დემოკრატიებ ნახმ. არიან ლეგიმრომლოვანი ყველა ხალხ პარტიათანთან მთავრობის კოალიციაში, მაგრამ დეპუტატებ ერთად მოითხოვენ რეიხსტაგის დათხოვნის დამოუკიდებლების გაზეთ „ფრეიჰეიტის“ აზრით, მხოლოდ რეიხსტაგის ახალ არჩევნებს შეუძლია არსებულ კრიზისის გადალახვა. კომუნისტური „როტი ფანე“ მოითხოვს სერთო გაფიცვის გამოცხადებას, რომ გავლენა მოახდინონ წვრილ ბურჟუაზიულ ჯგუფებზე, რადგანაც ეს უკანასკნელნი ეწინააღმდეგებიან ერთიანი ფრონტის შექმნას.

მონარქისტების გამოაშკარავება.

ბერლინი. 10 ივლისი. დეპუტატი ბრეიტიოსი ამტკიცებდა რეიხსტაგში, რომ ბერლინის ფიზიკური ვარჯიშობის ჯარები არის მხოლოდ და მხოლოდ ნიღაბ აფარებული პოლკი ერხარდისა, რომელიც თითქოს დაშალეს, ნაციონალისტური პარტია და ჯარისკაც ნაციონალისტების საზოგადოება მოქმედობენ ერთად და ერთიერთის დახმარებით, რათა შექმნან იმ გვარი ჯარის კადრი, რომელთაც მობილიზაციას უზამდენ პირველ საჭიროებისათვის. თანხებს ამ ჯარების შესანახად აძლევდენ მრეწველები და სხვათა შორის სახელმწიფო პარტიის წევრი გერეი. ამ კონტრ-რევოლუციონურ საზოგადოებათა ინსტრუქტორებათ არიან მარქფ რაზმის ოფიცრები.

ნაბოკოვის მკვლელების გასამართლება

მოსკოვი. 10 ივლისი. ბერლინში დაიწყო შაბელკისა და ცობორიცკის პროცესი, რომელთაც ბრალი ედებათ ნაბოკოვის მოკვლისა და მილიციაზე თავდასხმაში. შაბელკიმ განაცხადა, რომ მას სურდა მილიუკოვის მოკვლა. შაბელკის მილიუკოვი და ნაბოკოვი მიჩნია საშშობლოს მოდალადეებათ და უმთავრეს მიზნათ მონარქიის დამხობისა. ამ საქმის შესახებ გამოწვეულია 50 მოწმე.

ტალერის პიესა გერმანულ ცენზაზე.

მოსკოვი. 10 ივლისი. ბერლინის დრამატიულ თეატრში დასდგეს ცნობილი კომუნისტი ტალერის პიესა, რომელიც ამ ჟამად იმყოფება ბავარიის ციხეში. მიუხედავად გერმანიის თვალსაჩინო მწერლებისა და პოლიტიკურ მოღვაწეების თხოვნისა ნება დაერთოთ ტალერისათვის დასწრებოდა პიესის გენერალურ რეპეტიციას, ტალერი მაინც არ გამოუშვეს ციხიდან. პიესა წარმატებით ჩატარდა.

რუსი მონარქისტები ჰუნგარეთში.

მოსკოვი. 10 ივლისი. ჰუნგარეთის ნაციონალურ ყრილობაში ესდეკების ფრაქციამ შეიტანა შეკითხვა იმ საჯარო მიწოდების შესახებ, რომელიც მოხდა რუსი მონარქისტების ყრილობაზე რატენაუს მოკვლის შესახებ.

უცხოეთი

ავსტრია

რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს

ბერლინი. 10 ივლ. პუანკარესთან საუბრის დროს, შანცერმა მიიქცია ყურადღება ავსტრიის მდგომარეობას, რომელსაც შეუძლია მოჰყვეს სერიოზული შედეგები, როგორც მაგ. გერმანიასთან შეერთება ან რეჟიმის გამოცვლა. საჭიროდ იქნა ცნობილი თავის დროზე აღმოუჩინოს ავსტრიას დახმარება; მაგრამ ამ დახმარების ხასიათის საკითხი ღიად დარჩა.

შეთანხმება იტალიასთან

რომი. 10 ივლ. ვენის პრესა იტყობინება, რომ რომში განახლდა მოლაპარაკება იტალიასა და ავსტრიას შორის სავაჭრო და საგაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

მელითონელთა გაფიცვა

ნაუენი. 10 ივლ. ფიქრობენ, რომ მელითონელთა გაფიცვა დამთავრდება მოლაპარაკების საბოლოოდ დაბოლოვების გამო.

შანცერის გამგზავრება

ნაუენი. 10 ივლ. შანცერი გაემგზავრა ლონდონიდან ისე, რომ აღმოსავლეთის საკითხში ვერ მიაღწია სრულ შეთანხმებას. თუმცა ხმელთაშუა ზღვის მცირე აზიის და აფრიკის საკითხში ინგლისის და იტალიის აზრი ერთმანეთს შეუთანხმდა, დანარჩენი საკითხები განმარტებულნი იქნენ ექსპერტების მიერ. იტალიას სურს აღმოსავლეთის კონფერენციის გადადებას რომელიც მოწვეულ უნდა იქნეს ივლისის დამლევს.

პუანკარესთან შეხვედრა

ბერლინი. 10 ივლ. ლონდონიდან რომში გამგზავრების დროს შანცერი გაჩე-

რდება პარიზში და გამართავს მოლაპარაკებას პუანკარესთან.

არ შეუძლიათ შეთანხმდენ

ბორდო. 10 ივლ. შანცერის და პუანკარეს თათბირის დროს უკანასკნელმა განაცხადა რომ ინგლის საფრანგეთს და ისპანიას დაუსაბუთებლად მიაჩნიათ იტალიის მოთხოვნილება ტანჟერის კონფერენციაზე მონაწილეობის შესახებ, იტალიასა და საფრანგეთს შორის ადრევე მომხდარ შეთანხმების გამო, რომელშიაც გათვალისწინებულია, რომ ფრანგები არ არიან დაინტერესებულნი ტრიპოლიტონიით, ხოლო იტალიელები მაროკკოთი. მაგრამ შეთანხმება ტანჟერის შესახებ, როდესაც ის იქნება გამომუშავებული ინგლისის საფრანგეთის და ისპანიის მიერ ეცნობება ყველა სახელმწიფოებს, რომელთაც ხელი მოაწერეს ვერსალის ხელშეკრულებას ყოფილ მტრების გამოკლებით.

ლოიდ-ჯორჯის და შანცერის მოლაპარაკები.

რომი. 10 ივლ. ლოიდ-ჯორჯის და შანცერის მოლაპარაკების გამო, იტალიის პრესა ამტკიცებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მეთანხმება არ იქნება მიღწეული ის საკითხები, რომელნიც იტალიას ინტერესებდა მეგობრულად იქნა გაშუქებულნი. პრესა მოელის, რომ ლონდონში გამართული თათბირი საბოლოოდ გამოარკვევს ინგლის-იტალიის ურთიერთობას.

პოლონეთი.

მცხოვრებთა შემადგენლობა.

ნაუენი ივლისი 10. სტატისტიკური ცნობების მიხედვით, პოლონეთის მცხოვრებთა რიცხვი ადრის 25 მილიონს. ამ რიცხვიდან 31,6 პროც. პოლონელია.

ახალი კაბინეთის გადადგომა.

ბორდო 10 ივლისი. მიიღო რა ხმის უმცირესობა პრემიერ სლავინსკის დეკლარაციის შემდეგ, პოლონეთის კაბინეთი გადადგა.

რუმინია.

გატანის აკრძალვა.

ბორდო 10 ივლისი. აკრძალულია გატანა რუმინიიდან ხორბლეულისა და სელისა. შვრიას და თივის გატანა ნებადართულია, მხოლოდ კვინტალზე 200—500—2000—5 000 ლეის გადახდევინების შემდეგ.

ამერიკა.

არეულობა.

ბორდო 10 ივლისი. რკინის გზელთა გაფიცვა იწვევს არეულობას. ჩიკაგოში გაფიცულთა და შტრეიკბრეხერების შორის მოხდა შეტაკება. მოკლულია 2 კაცი.

იტალია.

პაპის უნდარმების აჯანყება.

ნაუენი 10 ივლისი. პაპის ჟანდარმებმა გამოაცხადეს ურჩობა იმის გამო, რომ უარი უთხრეს მათი მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, როდესაც შვეიცარიელებს ნაბრძანები ქონდათ ჟანდარმების გენერალმა პირველებმა ურჩობა გაანაცხადეს მიუხედავად მათი ერთგულებისა პაპისადმი.

ამის გამო პაპის ჟანდარმერიის კომანდირი გრავი ჩეკოპერი დანამდვილებით თანამდებობიდან გადადგება.

გაფიცვები საფრანგეთში

მოსკოვი. 10 ივლ. საფრანგეთში, სამუშაო ხელფასის გადიდების მოთხოვნილების შესახებ, ხდება ცალ-ცალკე გაფიცვები.

საფრანგეთის პალატებში

ბორდო. 10 ივლ. გამოქვეყნდა დეკრეტი, რომლითაც დახურულია მიმდინარე სესია დეპუტატთა პალატისა და სენატისა. პალატის დახურვის წინ დადგენილ იქნა, რომ მთავრობას შეუძლია ისარგებლოს ამნისტიის უფლებით კიდევ ერთი წლის განმავლობაში. მიღებულ იქნა აგრეთვე კანონპროექტები საზღვაო არსენალის მუშების რიცხვის 4917 კაცით შემცირების და პასტერის ასი წლის დღესასწაულის აღსანიშნავად სამი მილიონი ფრანკის გადადების შესახებ.

გამარჯვების დღეს სწაული

ბორდო. 10 ივლ. დეპუტატთა პალატის დადგენილებით, დროებითი ზავისა გამარჯვებისა და ზავის დღესასწაულის დღეთ გამოცხადებულია 11 ნოემბერი.

მადლობის გამოცხადება.

ბორდო. 10 ივლისი. ვოევოდა რიმერმა გაუგზავნა მადლობის დეპეშა გენერალ ლერონს ყოველივე იმისათვის, რაც გაკეთებული იქნა საკავშიროთა შორისო კომისიის მიერ ზემო-სილეზიის პოლონური ნაწილისათვის.

მუშათა მოთხოვნილება.

ნაუენი. 10 ივლისი. ვინაიდან ხშირია ზემოსილეზიის პოლონელ ნაწილში გერმანელ ოფიციალურ პირებზე თავდასხმა, ზემო-სილეზიის ამ ნაწილის მუშებმა და კავშირებმა მიმართეს ვენიგსხიუტში ვოევოდის თხოვნით აღმოუჩინოს მათ დახმარება ასეთი შემთხვევების მოსასპობად. ვოევოდამ აღუთქვა თავისი დახმარება და დაპირდა საჭიროების დროს იარაღის ხმარებასაც.

აღმოსავლეთში

გერმანია და სპარსეთი

ნაუენი, 10 ივლისი. ამ დღეებში გამოვა ჰამბურგიდან გემი პეტროგრადის მიმართულებით, რომელიც გაივლის მანკის არხს. ვოლგას და კასპიის ზღვით მივა ენზელში, რათა მოახდინოს სასინჯი რეისი. თუ ეს რეისი კარგათ ჩატარდა, შემდეგ მოწყობილი იქნება რეგულიარული მიმოსვლა.

„ჰუმანიური" მინიხტრების შეხვედრა

ბორდო, 10 ივლისი. საბერძნეთის მეფე ალექსანდრემ, რომელმაც პირველად აპატია მასზე თავდასხმელი ტერორისტი, მთავრობის დაჟნებითი მოთხოვნილებით მიუსაჯეს 20 წლის კატორღა.

საბერძნეთი და ოსმალეთი

ბორდო, 10 ივლისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ინგლის საფრანგეთის შორის უთანხმოება საბერძნეთ-ოსმალეთის კონფლიქტის შესახებ, უკვე მოსპობილია. გადასწყდა უარი ათენ პირობების აღსრულების მხარეებისათვის მოთხოვნილებაზე მანამდის, სანამ ისინი შეუდგებიან მოლაპარაკებას ზავის შესახებ

ახალი ამბები

— **ბიულეტენი.** რედაქციამ მიიღო სახალხო საკურსათო კომისარიატის ბიულეტენი (№ 16) ქართულსა და რუსულს ენებზედ.

— **ურთიერთ დამხმარე კასები.** კომპანია, ცენტრალური ურთიერთ დამხმარე კასის შექმნისათვის, სასურველად მიმდინარეობს. კავშირის კასაში უკვე შემოვიდა 10 მილიონი მანეთი, რომელნიც მიეცემათ დახმარებად წევრებს უბედური შემთხვევისა, ავადყოფობისა და უმუშევრების დროს გამგეობის დადგენილების თანახმად.

— **კოლექტიური ხელშეკრულება.** კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც დადებულია სახელმწიფო ღკინის შემომტან მუშათა ცენტრალურ კავშირის მიერ დამტკიცებულ იქნა—შრომის კოკომისარიატისაგან: ცენტრალურმა გამგეობამ წარადგინა კომისართა საბჭოში ორი კოლექტიური ხელშეკრულება, პირველი დადებული სახალხო ქოხებათა მუშა-მოსამსახურეთა მიერ და მეორე დადებული სახალხო კომისარიატების მუშა-მოსამსახურეთა მიერ.

— **განათლების და ხელოვნების მუშაკთა კავშირში** ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმი აწყობს განათლებისა და კულტურის სახლს რუსთაველის თეატრის შენობაში. გახსნილ იქნება ბიბლიოთეკა - სამკითხველო. კულტურის სახლში გამართულ იქნება ლექციები, მოხსენებები, საუბრები, კონცერტები, წარმოდგენები და სხვ.

— **ბავშვების გაგზავნა აგარაკზე.** პროფ. კავშირთა ცენტრალურმა გამგეობამ გაგზავნა 40 ბავშვი წ ღვერში. ბავშვთა გამოსაკვებად გადადებულ იქმნა 60 მილ. მანეთი, ამ დღეებში კიდევ გაიგზავნება 40 ბავშვი.

— **ხელახალი რეგისტრაცია.** პროფესიონალურ კავშირის სეორგანიზაციო განყოფილებამ დაასრულა გაწმენდა და ხელახალი რეგისტრაცია წევრების, რომელიც გაგრძელდა თვე ნახევარს. ეხლა უკვე გამორკვეულია საბოლოო შედეგები გაწმენდისა და ხელ-ახალი რეგისტრაციის. კავშირის წევრებად ხელ ახალი რეგისტრაციის მიხედვით ირიცხება 6,000 კაცი.

— **დავალიანება.** პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ გამგეობამ მიიღო ზემები განათლების მუშაკთა შესახებ, რომელთა მიმართ დავალიანებულია განათლების კომისარიატი, მრავალ ადგილას მასწავლებლებს ჯამაგირი არ მიუღიათ ა. წ. იანვრიდან. ტფილისში უკვე მოხდა დავალიანების ლიკვიდაცია, პროვინციისათვის მიღებულია სათანადო ზომები.

— **ტყიბა და მიწის მუშის პროფკავშირში.** მაისის ბოლო რიცხვებში კავშირის პრეზიდიუმის მიერ დაიწყო ადგილკომთა ხელ-ახალი არჩევნები და არჩევნები დელეგატებისა სრულიად საქართველოს კავშირის მეორე ყრილობაზე. ხელ-ახალი არჩევნები ტფილისში მოხდა 5 ადგილს, პროვინციაში 14 ადგილს, ყრილობისათვის არჩეულია 34 დელეგატი, დარჩენილია ასარჩევად 36 დელეგატი. წარმომადგენლობის ნორმა 30 კაცზე 1 დელეგატი.

— **კავშირის ბოსტნები.** კავშირის მიერ გამართულ ბოსტნების ექსპლოატაცია საკმაო შედეგებს იძლევა. მწვანილისაგან შემოსულია 40 მილ. მანეთი. ამ დღეებში ჩატარდა მოსავლის შეკრება ბოსტნების 3 რაიონში, რომლის სავარაუდო ადრის სამი-ოთხედი დესიატინას. მოსავალი ადრის 115 მილიონს. ამრიგად სულ შეკრებილია 155 მილიონი. გასავალი იყო 90 მილიონი.

— **ფეხბურთელთა შეჯიბრი.** ტფილისის შევარდენის პირველ გუნდს ჰქონდა შეჯიბრი 9 მკოთავეს ბათომის „სოკოლის" პირველ გუნდთან. შეჯიბრი დამთავრდა შევარდნების სასარგებლოდ.

— **ხორბალი დამშეულთათვის.** საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტის მიერ, 10 ივლისს გადაგზავნილია დამშეულთა დასარიგებლად ხორბალი შემდეგ მაზრებისათვის: სენაკის მაზრის დამშეულთა კომიტეტს 2 ვაგონი, ზუგდიდის დამშეულთა კომიტეტს 1 ვაგონი ქუთაისის დამშეულთა კომიტეტს 1 ვაგონი. რაჭ ს დამშეულთა კომიტეტს 2 ვაგონი.

პროვინციის ცხოვრება

— **მოსავალი აჭარაში.** ამ ამად მოსავალს შემდეგი პირი უჩანს აჭარაში: ქობულეთის მაზრაში: სიმინდი—ს ფუალოზე მეტი, შემოდგომის ქერი საფუალოზე ნაკლები; გზაფხულის ქერი—საფუალო, ლობიო—საფუალოზე მეტი. კარტოფილი—საფუალოზე მეტი, ბრინჯი—საფუალოზე მეტი, ლობიო—საფუალო. ქვემო აჭარასა და აჭარის წყლის მაზრებში—ყველა ნათესები—საფუალო. ბათომის მაზრაში—სიმინდი და ლობიო—კარგია, კარტოფილი—საფუალოზე მეტი, ბრინჯი—საფუალოზე ნაკლები; ხულოს მაზრაში—სიმინდი და ლობიო—საფუალოზე მეტი, კართოფილი და თუთუნი—კარგია. ქობულეთის მაზრაში, კარგი ამინდებია. ერთობ ნათესების კარგს მდგომარეობას ხელი შეუწყობ ადრე დათესვა; მიუხედავად ამისა ნათესები გაეფუჭა ფრინველებმა, მინდვრის თაგვებმა და მწერებმა. აჭარის წყალს მაზრაში ამოსულს ხელი შეუშალა სეტყვებმა, ბათომის მაზრაშიც გავრცელებულია მწერები. მოსავალს კარგი პირი უჩ ს ხულოს მაზრაში.

— **სასურსათო გადახახადის კამპ ნია.** საქ სახალ. სასურსათო კომისარიატის განკარგულების თანახმად, აჭარაში ნატურა-გადასახადი უნდა გამოიხატოს არა ნაკლებ 25.000 ფუთისა.

— **მოსავალი კახეთში.** სიდნაღისა და თელავის მაზრებში პურეულობის მოსავალი კარგია. სიმინდის ყანას სწორედ ამუშავებენ. ნათესი მინდვრების სივრცე იმდენად გაიზარდა ამ წელში, რომ შეუძლია მოგვცეს ნაშენელოვანი ზედმეტი პური მთელი ქვეყნისათვის. ქვრის ადება უკვე თავდება, შეუდგნენ პურის მოკრეფას. მოსავლის მოკრეფას ხელს უშლის ხშირი წვიმები.

— **ხილეულობა და ვენახი კახეთში.** ხილის მოსავალი რაიონებში, სადაც არ იყო სეტყვა, კარგია. არავითარი ავადმყოფნი ხილზე არ არის ყურძნეულობის მოსავალი იმ რაიონებში, სადაც არ შეხებია სეტყვა ვენახებს საშუალოზე მეტია. სეტყვამ, რომელმაც გადაიარა წინანდალს, ყურჯაანისა და კარდანახის რაიონებში, საერთოდ დასწია ღვინის მოსავლიანობა კახეთში 1 პროც. ლაზარეთის ნაპირებზე ძლიერ გავრცელდა ფილოქსერა. დიდი ზიანი მიაყენა ძლიერმა ქარმა, რომელიც ქროდა ვენახების აყვავიერების დროს. ამ ბოლო ხანებში გავრცელდა სოკოს ავადმყოფობა. სწარმოებს ბრძოლა მისს წინააღმდეგ.

— **სტაქიური უბედურება ახალციხის მაზრაში** ივლისის 5 ს, დღის სამ საათზედ ვარხანის მთელს თემში მოვიდა დიდი წვიმები და სეტყვა, რომელიც გაგრძელდა ერთს საათზე მეტი. დაღუპა 75 პროც. ნათესებისა, უმეტესი ნაწილი სიმინდისა და ქვიშით დაიფარა წვიმა იმდენად ძლიერი იყო, რომ გლეხებმა გამოდ ნეს საქონლები სახლებიდან, შეეშინდათ წყალდიდობის, რადგან მთა-ბიდან წამოვიდა დიდი ნიადაგები. უნზიის გზაზე ყველა ხიდები გაფუჭებულია. მცხოვრებლები ძლიერ შეწუხებულნი არიან ამ უბედური შემთხვევით, რადგან მოსავალ ძლიერ კარგი პირი უჩანდა და აკრეფა უნდა დაეწყოთ ათი დღის შემდეგ.

სამხატვრო ქრონიკა

„ბახტრიონი". რედაქციამ მიიღო კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზ. „ბახტრიონი" № 1 და 2. გაზეთი შინაარსიანად არის შედგენილი და მრავალი ცნობებია ჩვენი ლიტერატებისა და ხელოვნების შესახებ. მეორე ნომერში მოთავსებულია: ქართული მესინიზმი—გ. ლეონიძისა, სახელმწ. გამომც. ტ. ტაბიძისა. დიალოგი—შ. ეჯაიძის, ლექსები—პ. იაშვილისა, ვ. გეფრინდაშვილის, ს. შანშიაშვილის, რ. გვეტაძისა და გრ. ცეცხლაძის, რუსთაველინა (პ. ინგოროყვას დამატებითი მოხსენება რუსთაველზე. ლიტერატურული ქრონიკა თეატრი და ქრონიკა. გაზეთ ღირს თითო ცალი 10 ათასი მან.

ნიკო ფიროსმანი პოეტი ტიციან ტაბიძე ამზადებს დიდ მონოგრაფიას ნიკო ფიროსმანზე. წიგნში მოთავსებული იქნება რეპროდუქციები ყველა იმ სურათების რომლებიც დაგროვილია თბილისში. წიგნი განზრახულია გამოვიდეს ფრანგულ ენაზედაც.

რუსთაველი. პავლე ინგოროყვას ახალი გამოკვლევა რუსთაველზე დასაბეჭდად მიცემულია, სახელმწიფო გამომცემლობაში.

გრიგოლ რობაქიძის წიგნები. გრიგოლ რობაქიძემ დაამზადა დასაბეჭდათ ცხრა ტომი თავის ნაწერების, გამოქვეყნებულ ნაწერების გარდა ამ ციკლში შედის მისტერია „ჯვარი ვაზისა" და ქართული პრობლემა: წმინდა ნინო, გრიგოლ მერჩული, შოთა რუსთაველი. თამარი, გიორგი სააკაძე, ვაჟა ფშაველა ფიროსმანი.

ვიაჩესლავ ივანოვი თფილისში. გრიგოლ რობაქიძემ ბაქოდან მიიღო წერილი ვიაჩესლავ ივანოვისაგან. როგორც წერილიდან სჩანს, პოეტი დიდი ხანია აპირობს თბილისში ჩამოსვლას და მხოლოდ უნივერსიტეტის საქმეებმა დღემდის ვერ მისცეს შეძლება თფილისში ჩამოსვლის. ივლისის პირველ რიცხვებში ვიაჩესლავ ივანოვი თფილისში იქნება სადაც გაიმართება მისი საღამო და წაკითხულ იქნება მთელი რიგი მოხსენებების.

ხელოვანთა ხახ ადგ. მთავარ კომიტეტმა დაავალა ტიციან ტაბიძეს შეადგინოს წიგნი „ხელოვ ნთა სასახლე" წიგნი მოთავსებული იქნება ანგარიში ხელოვანთა სასახლეში წარმოებულ მუშაობისა. საერთოდ წიგნი წარმოდგენს მთელ ქართულ ხელოვნებას უკანასკნელ წლის ანნალებს. წიგნი იქნება დასურათებული.

სობინოვი და ჰნლცერი თფილისში. მკათათვის შუა რიცხვებში რუსთაველის თეატრში განზრახულია ჰნლცერისა და სობინოვის საღამო.

დავით კლდიაშვილის იუბილე ბათუმში. ბათუმში დიდი ზეიმით გადაიხადეს დავით კლდიაშვილის იუბილე.

შიო არაგვისპირელის პროვინციაში. ზ. ჭიჭინაძე გაემგზავრა პროვინციაში განზრახულია მისი იუბილეების მოწყობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დაბა ქალაქებში. ბაქრიას თან ახლავს ცნობილი მწერალი ია ეკალაძე.

არქეოლოგიური ექსპედიცია ნინოწმინდაში. გასულ კვირას არქეოლოგიური კომისია გ. ჩუბინიშვილის, დ. მელიქსეთმეგის და სხ. გაემგზავრა ივრის ხეობაში კარძოდ ნინოწმინდის ტაძრის (4 საუკ). დასათვალიერებლად. ექსპედიციამ ნინოწმინდაში დაჰყო სამუშაოდ სრული ხუთი დღე. მოკლე ხანში ექსპედიციის მუშაობის შესახებ ერთ ერთი წევრი მოხსენებას წაიკითხავს.

— **მუსიკალური სასწავლებელი აჭარაში.** სახელოვნო კომიტეტმა მელიტონ ბალანჩივაძეს მოხსენებით გადასწყვიტა დაარსოს მუსიკალური სასწავლებელი აჭარაში. ადგილობრივ პირობების გამოსარკვევად სახელოვნო კომიტეტის მიერ მიავლინებულია ალხ. მელიტონ ბალანჩივაძე.

— **ქართული მუსიკის ისტორია:** იბეჭდება მუსიკოს ია კარგარეთელის ვრცელი შრომა: „ქართული მუსიკის ისტორია", ავტორი ვრცლად ეხება ძველ ქართულ სგალობლებს, ხმებს და საკრავებს (ტბანი, წ�წილი, ჭანარი, დაირა, ქოსი, დაბდები, ზურნა, დუდუკი, სალამური, სტვირი, და სხვა). გვაწვდის ახალს ცნობებს და ახალ სახელებსაც ქართული სინამდვილიდან. წიგნს თან დართული აქვს სურათები საკრავების, უძველესი ქართული ნოტები და სხვა. სპეციალისტების აზრით, ეს წიგნი საგულდაგულო გაბდება ქართული სასწავლებლებისათვის.

საოპერო კოლექტივი. საოპერო კოლექტივის შედგენა მანდობილი აქვს ცნობილ დირიჟორს ივანე ფალიაშვილს. კოლექტივი შევსებული იქნება ახალი ძალებით.

ტფილისის ქალაქის აღმასკომში

პირველი სხდომა ტფ. ქალაქის აღმასკომისა შესდგა მთელ შემადგენლობის დასწრებით. აღმასკომის პირველ სხდომას დაესწრო სრ. საქ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძე და კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. სერგო ქავთარაძე და სხვა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამხ. ლ. დუმბაძე. პრეზიდიუმში აჩჩეულ იქმნა ამხ. ილიკო წივწივაძე, გიგო კიკნაძე, ნიკო კიკნაძე, თაქთაქიშვილი და ბაქრაძე, რ, ჩუბაძე, კახიანი და მეცხრე წევრად პრეზიდიუმისა უნდა იქნეს არმიის წარმომადგენელი. ამხ. წივწივაძეს ირჩევენ თავმჯდომარის მოადგილეთ და ამხ. თაქთაქიშვილს ევალება სამმართველო განყოფილების გამგეობა. დანარჩენი გამგენი განყოფილებისა და ქვეგანყოფილებისა რჩებიან თ ვის ადგილზედ.

ამხ. ფ. მახარაძე მიუთითებს ტფილისის მეურნეობის სიდიდეზედ და წინადადება შეაქვს პრეზიდიუმში, რომ გამომუშ ვებული იქნეს გეგმა მეურნეობის ხელმძღვანელობისა, რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს აღმასკომის უახლოეს სხდომაზე გასაჩენად და დასამტკიცებლად.

ამხ. ილ. წივწივაძე აცხადებს, რომ ეს ასედაც იყო განზრახული. გეგმა ქალაქის მეურნეობის ხელმძღვანელობისა შედგენილია. საჭიროა მხოლოდ რამდენიმედ მისი შევსება-შესწორება. წინადადება ამხ. ფ. მახარაძის პრინციპიალურად მიღებულ იქნა და სხდომა შეუდგა ფინანსიური განყოფილების გამგის ამხ. თედო ლლონტის მოხსენებას, აღმასკომის ფინანსიურ პოლიტიკისა და მისი პერსპექტივების შესახებ.

რომლის შინაარს შემდეგ მოვათავსებთ.

—

ფინანსიური განყოფილების გამგე ამხ. თედო ღლონტი აკეთებს მოხსენებას ფინანსიურ პოლიტიკაზედ და მის პერსპექტივებზე.

ქ. ტფილისის ბიუჯეტი არის ისტორიული ბიუჯეტი იმ აზრით, რომ იგი დამყარებულია საერთოდ მუშურ პოლიტიკაზე და შედგენილია მუშათა კლასის ინტერესების დაცვის მიხედვით. ამასთან ერთად ბიუჯეტი არის წარმოებითი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში დაუკავშირდა ქვეყნის მშვიდობიან მდგომარეობას და ეს გვაძლევს ჩვენ საშუალებას, რომ ყოველი ათასი მანეთი გამოვიყენოთ წარმოების საქმისათვის და ამისათვის საბჭოთა სისტემა ქმნის საუკეთესო პირობებს მუშაობისათვის.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ფინანსიური მეურნეობა ამავე დროს წარმოადგენს გადასახადთა მეურნეობას და აღმასკომის პრეზიდიუმი მიზნად ისახავს ერთიანი გადასახადის სისტემით დაბეგვრას საზოგადოების შეძლებული ნაწილის. მომხსენებელი აღნიშნავს ახლანდელი ფინანსიური თვალსაზრისი ვერ უძლებს კრიტიკას და კერძოდ მისთვის ის წარმოადგენს არა დამაკმაყოფილებელ პოლიტიკას. ამისათვის მიმართავს ფაქტიურ მასალებს.

მხედველობაში რომ არ მივიღოთ შემოსავალი წარმოებათაგან, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეურნეობის ფინანსიურ სტრუქტურაში, ქალაქს აქვს დაახლოვებით **25** დიდი წყარო შემოსავლისა, **რომელიც** შეიძლება დანაწილებულ იქნეს 3 უმთავრეს კატეგორიად. პირველ კატეგორიას წარმოადგენს გადასახადი—სატრაქტირო, საავადმყოფო, სასანიტარო, მოძრავი ვაჭრობის, გადასახადი სულზე, ცხენებზე, ეტლებზე და სხ. 2 კატეგორიას მიეკუთვნება გადასახადი სააქციოზო, სამისამართო მაგიდის, ნოხების გატანის, სასწორის ქალაქას სასარგებლოდ 20 პროცენტის გაღება პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადის, რომელსაც კრებს სახელმწიფო. 3 კატეგორიას მიეკუთვნება—საიჯარო შემოსავალი, შემოსავალი დარაბებიდან, მუნიციპალური სახლებიდან, დუქნებიდან, სააფიშო ბოძებიდან, ბორანიდან; საძოვრებიდან, მინდვრებიდან, ბოსტნებიდან და სხ.

ყველა გადამხდელთა მდგომარეობა იმდენად უნუგეშოა, რომ იძულებული ვართ მივცეთ შეღავათი და გაუდიდოთ გადახდის ვადა, ამიტომ გადასახადები ატარებენ ფრიად კარლიკურ ხასიათს.

ამის საილუსტრაციოდ შესაძლებელია შემდეგის მოგონება. ომამდე ქალაქის შემოსავლის 53 პროცენტს შეადგენდა გადასახადები სახლებზე, მაგრამ განა შესაძლებელია ეხლა ასეთი მდგომარეობის შექმნა დაზიანებულ სახლებისათვის და ამიტომ ჩვენ ვღებულობთ მთელი შემოსავლის არა **53** პროცენტს, არამედ 5 პროცენტს.

იჯარის ნორმალურ პირობებში დარაბების შემოსავალი შეიძლება იძლეოდეს 150 პროც. მეტს, ვიდრე იძლევა ეხლა. მიუხედავად ამისა გადამხდელთათვის ჩვენი გადასახადიც წარმოადგენს მძიმესა და შეუძლებელ სიდიდეს. მაგრამ ეკონომიური ცხოვრების გაძლიერების საშუალებით ჩვენ მივალთ შემოსავლის წყაროთა ინტეგრაციასთან და განვნთავისუფლდებით წვრილმალი წყაროების ძიებისაგან.

საერთო შემოსავალი ქალაქის გამოიხატება მილიარდ მანეთებში:

იანვარში შემოვიდა 9,4. თებერვალში 9,9. მარტში 15,9. აპრილში 18,4. მაისში 25,84.

(შემდეგი იქნება)

თესვის კომიტეტის ყრილობა

ახალქალაქის მაზრა. თესვის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარემ, აგრონომმა ი. ანთაძემ განაცხადა, რომ მაზრის დასათესად ჩიდებულია 12,821 ფ. და 30 გირ. ავსტრალიის პურისა, რომელიც გადაცვლილ იქმნა ერთ ნახევარ ჯერ მეტ ქერზედ და 5,709 ფ. სიმინდი ამ თესლით დათესა 2112 დესიატინა და აგრეთვე ცენტრო სათესიდან მიღებული 115 ფ. ქართოფილით დათესა ერთი დესიატინა; სულ დათესილია 30.113 დესიატინა, ანუ 60 პროც სახნავი მიწისა. 1921 წელთ ხ შედარებით დათესილი მიწა გაფართოვდა 18 000 დესიატინით. მოსავალი კარგი მოსალოდნელი.

— **რაჭის მაზრა.** სათესკომის თავმჯ მიწის მზომელს ამხ. ბაქრაძის მოხსენებიდან, რომ ცენტრო-სათესისაგან მივიღეთ მაზრისათვის 949 ფ. შემოდგომის პური, 3776 ფ და 24 გირ. ავსტრალიის პურისა და 14639 ფ. 30 გირ. სიმინდი. ამ სათესლე მასალით დათესა: 62 დესიატინა შემოდგომის თესლით, 221 დეს. გაზაფხულის თესლით და ქერით 5450 დეს. სიმინდით; სულ 5.733 დეს. ავსტრალიის პური გადავცვალეთ სიმინდზედ და ქერზედ სულ დათესილია მაზრაში 15 020 დეს. ე. ი. მთელი სახნ ვ სათესი მიწა. მოსავალს კარგს მოველით

—**ლეჩხუმის მაზრის** სათეკომის თავმჯდომარის აგრონომის ციციანოვის მოხსენებიდან: ცენტროსათესისაგან მივიღეთ 993 ფ. ავსტრალიის პურისა და 18.864 ფ. სიმინდი. პირველათ გადავცვალეთ ქერზედ და სიმინდზედ. დათესა 38 დეს. ქერით და პურით, 2382 დეს კი სიმინდით; სულ მაზრაში დათესილია 11.505 დეს. 1915 წელს იყო 8640 დეს. და 1921 წელს—10,543 დეს. დათესილია მარტო სათეს-სახნავი მიწის 115,05 პროც. მოსავალს ველით საშუალოზე მეტს.

— **ზუგდიდის მაზრის** სათესკომის თავმჯდომარის მოხსენებიდან: ცენტროსათესიდან მოვიღეთ 976 ფ ბამბის, 874 ფ. ყუბანის პური, და 2719 ფ. ავსტრალიის პური. მარტო ეს თესლეულობა გადავცვალეთ 6866 ფ. სიმინდზე. ამას დეემატა ცენტროსათესისაგან მიღებული 3780 ფ. სიმინდი. 1921 წელს მაზრაში დათესილი იყო 50 000 დესიატინა. მდე. წელს კი მოემატა 20 პროც. სათესლე მასალით დავაკმაყოფილეთ მოთხოვნილების 75 პროც. მოსავალი კარგია, სასინჯ დ დათესილ ავსტრალიის სიმინდმა კარგი შედეგი მოიტანა.

— **ოზურგეთის მაზრის** სათესკომის თავმჯდომარის აგრონომის შარაშიძის მოხსენებიდან: ცენტროსათესიდან მივიღეთ 4835 ფ. და 10 გ. ავსტრალიის პურისა და 6376 ფ. 20 გ. სიმინდი. საკუთარი თესლით გლეხებმა დასთესეს 114.687 დეს. და ცენტროსათესის დახმარებითაც—4113 დეს. სულ კი 118 800 დეს. ე. ი. 99 პროც. მთელი სახნავ-ათესი მიწისა. 1915 წელს იყო დათესილი 30.000 დეს. ხოლო 1921 წელს 80.000 დეს. მოსავალი კარგია.

— **გორის მაზრა** სათესკომის თავმჯდომარემ აგრონომმა ფალავანდიშვილმა მოხსენება გააკეთა ინსტრუქციონ-კონტროლიორმა ისრაელიანცმა. ცენტრო სათესიდან მივიღეთ 6934 ფ. ავსტრალიის პურისა, 3438 ფ. ქერი და 21.522 ფ. სიმინდი. 10 ფ. ლობიოც. დათესილია სულ 45.000 დეს. 10.000 დეს. მეტი შარშანდელზე, ანუ 90 პროც. მთელი სახნავი მიწისა. მოსავალი შემოდგომის თესლისა საშუალოზედ მეტია, გაზაფხულის თესლისა კი საშუალო.

სამხრეთ ოსეთის სათესკომის თავმჯდომარეა ს. ხეთაგური. თესვის სამივე კამპანიის დროს მიღებულია სულ 15.000 ფუთი სათესლე, აქედან—4.000 ფ. ავსტრალიის პურისა, 8.000 სიმინდი და 3.000 ფ. სხვა და სხვა. წრეულს მიღებულია 4.000 ფ. ავსტრალიის პური და 8.000 სიმინდი. სათესი მიწა სამხრეთ ოსეთში უდრის დაახ. 4 000 დეს. უთესლობისა გამო დაუთესავი დარჩა 25 პროც. საყანე მიწისა. შემოვიღეთ ახალი კულტურა—შაქრის სორგო და ჰამალაის ქერი. მოსავალი სიმინდის და შემოდგომის თესლისა კარგია, გაზაფხულის თესლის კი—საშუალოზედ მეტი.

ტფილისის ტელეფონის ქსელის თანამშრომელთა საღამო.

ხუთშაბათს, ივლისის 6, ტფილისის ტელეფონის ქსელის თანამშრომლების მონაწილეობით გაიმართა საღამო წარმოდგენა. ფოსტა ტელეფონის და რადიო სადგურის მუშა-მოსამსახურეთა პროფ. კავშირის საზაფხულო კლუბში, რომელიც მოთავსებულია ყოფილ მელიქ აზარიანცის ბაღში (სასადილო „ამირინი“-ს ეზოში).

დადგმულ იქმნა ორი მოქმედებიანი დრამა „ხაშინელი შურის ძიება“, ამხ. სეფ როვის რეჟისორობით; მონაწილეობას ღებულობდენ ამხ. კოშკაძე ქეთევან, ნიკოლოზ და კონსტანტინე ჯავახიშვილები.

შესრულების მხრით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ვიდ დეშლი ნაბეჭდონი ჩანითვლოს ცალკედ, რადგანაც ყოველად დაუნერელია, რომ ყველა გამოცშვათ სცენაზე უპირველეს ყოვლისა ნამეტროა როლების შესწავლა და შემდეგ კი გამოსვლა.

დღეს უკვე ბოლო მოეღო იმ დროს, როდესაც მხოლოდ სუფლიორის სიტყვების გამეორების მეტი არ იყო საჭირო. მსახიობის უმთავრეს დადებით მხარეს ის შეიცავს, რომ მან დაივიწყოს სცენა, რასაც ამ საღამოს არ ქონია ადგილი.

სხვათა შორის საჭიროა ვიცოდეთ, თუ რას მიეწერება, რომ საღამო მხოლოდ ტელეფონის ქსელის ხელმძღვანელობით იყო გამართული და არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდენ ამავე უწყების სხვა დარგის თანამშრომლები.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ფოსტა ტელეფონში მუშაობენ შესაფერი ძალები, როგორც არის მაგალითად ამხ. ხულთანიშვილი, მათე იანგოშვილი რომელთაც შეუძლიათ დაახლოვებით მოგვცენ ხელოვნური სურათი სცენაზე.

სასურველია საღამო-წარმოდგენების გამართვაში მონაწილეობას იღებდენ უფრო მცოდნე პირები და ღირსეულად ასრულებდენ თავის მოვალეობას.

დასასრულს იმდენის როგორც ქართულად, აგრეთვე რუსულადაც ამავე უწყების თანამშრომელმა სვანიძემ და მოწვეულმა რუსის მსახიობმა ქალმა.

ხალხი ნაკლები დაესწრო. საღამო დასრულდა 12 საათზე.

გრაფო.

დადგენილება № 31.

საქართველოს სოც. საბ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

ქალაქებისა და მაზრების აღმასრულებელი კომიტეტების საფინანსო სამეურნეო განზრახულებათა წინასწარი განხილვის წესის შესახებ.

1. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილების ყოველი საფინანსო სამეურნეო განზრახულება, წინასწარ ტფილისის მუშათა და გლეხთა საბჭოს მიერ დამტკიცებისა, განხილულ უნდა იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ, რესპუბლიკის საერთო საფინანსო პოლიტიკასთან შეთანხმებისათვის. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ვალდებულია გამოიტანოს თავისი დასკვნა ხუთი დღის განმავლობაში შეკითხვის მიღების დღიდან.

2. უკეთუ ფინანსთა სახალხო კომისარიატის და კომუნალური განყოფილების შორის შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნა,—კომუნალური განყოფილების მიერ აღძრული საკითხის განხილვა ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გადატანილ იქნება სახალხო კომისართა საბჭოში.

3. მაზრებისა და ქალაქების აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებისა,—განხილულ უნდა იქნეს კომისიაში,—რომელშიაც აუცილებლად მონაწილეობას მიიღებს გადასახადთა ინსპექტორი.

4. უკე თუ კომუნალური განყოფილებისა და გადასახადთა ინსპექტორის შორის შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნა,—გადასახადთა ინსპექტორი ვალდებულია. სამი დღის განმავლობაში, წარუდგინოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს დასაბუთებული პროტესტი. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ვალდებულია განიხილოს ეს პროტესტი პირველ მუხლში აღნიშნულ ვადაზე.

5. ფინანსთა სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრებუ იქნეს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ,—ფინანსთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით,—სახალხო კომისართა საბჭოში. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ვალდებულია წარუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს საჩივრის გამო თავისი დასკვნა ხუთი დღის განმავლობაში.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ა. სვანიძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ა. **სალარიძე.**

1922 წ. ივნისის 30.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 33.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ყველა ადგილობრივი საბჭოს სასარგებლოდ სასურსათო გადასახადის შემოსავლიდან საპროცენტო ანარიცხის დაწესების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის **სახალხო** კომისართა საბჭო ადგენს:

1. ადგილობრივი საბჭოების სახსარის გასაძლიერებლად ამიერიდან დაწესებულ იქნეს საპროცენტო ანარიცხი სასურსათო გადასახადის მთელი შემოსავლიდან 15%-ის რაოდენობისა,—10% სამაზრო და 5% სათემო საბჭოს სასარგებლოდ.

2. როგორც სამაზრო, ისე სათემო აღმასრულებელი კომიტეტის ყველა ხარჯები, დაკავშირებული სასურსათო გადასახადის კამპანიასთან (პრემიით დაჯილდოვება სასურსათო გადასახადის წარმატებით აკრეფისათვის და სხვა ხარჯები), უნდა დაიფაროს პირველ მუხლში აღნიშნული ანარიცხიდან.

3. ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისათვის კუთვნილი ანარიცხის მიცემის ვადას, პირობებსა და წესს, განსაზღვრავს სახალხო სასურსათო კომისარიატი შინაგან საქმეთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

სასურსათო სახალხო კომისარი **ა. ერქომაიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. ივლისის 4.

ტფილისი—სასახლე.

დებულება

საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს

სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სპეციალური სარკინისგზო კომისიის შესახებ.

1. სპეციალური სარკინისგზო კომისია არსებობს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან და შესდგება: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, რკინის გზათა სამმართველოსა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატისა და სასურსათო სახალხო კომისარიატისა და სასურსათო სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთაგან.

2. კომისიას ექვემდებარება განსახილველად ყველა სატარიფო საკითხი (ახალი ტარიფების დაწესება და არსებულის შეცვლა) და აგრეთვე ყველა ის სარკინისგზო საკითხი, რომლის განხილვა და დამტკიცება დამოკიდებულია საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსგან.

3. სატარიფო საკითხების განხილვის დროს კომისიის სხდომაში აუცილებლია შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობა: სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი, რკინის გზის სამმართველოსა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა; დანარჩენი საკითხებისათვის საკმარისია სამი წარმომადგენლის მონაწილეობა, ხოლო რკინის გზის წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა.

4. კომისიას ნება ეძლევა თავის შეხედულებით მოიწვიოს ხოლმე კომისიის სხდომაზე საზოგადოებრივ და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და კერძო პირნი სათათბირო ხმით.

5. საკითხები კომისიის სხდომაზე გადასწყდება დამსწრეთა ხმის მარტივი უმრავლესობით.

6. გადამწყვეტი ხმის უფლება აქვთ კომისიის მხოლოდ იმ წევრებს, რომელნიც ჩამოთვლილ არიან ამა დებულების 1 მუხლში.

7. კომისიის სხდომებს საჭიროების და მიხედვით, დანიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

8. კომისიის თავმჯდომარეს დანიშნავს საქართველოს სოც, საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო კომისიის წევრთაგან (დებულების 1 მუხ.).

9. კომისიას განკარგულებითი ფუნქციები არა აქვს. კომისიის ყოველი დადგენილება მოხსენდება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს კომისიის თავმჯდომარის მიერ.

10. კომისიას უფლება ეძლევა მიიღოს ყველა საბჭოთა საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებისაგან მისთვის საჭირო ცნობები ყველა მის მიერ განსახილველი საკითხის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. ივლისის 5.

ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

ქალ. ტფილ. აღმასრულებელ კომიტეტის
გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ შაბათს, 15 ივლისს, დღის 12 საათზე, ალმასკომის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქვემოთ ჩამოთვლილ სასტუმროებისა:

1) ელიზავეტოპოლი—ვორონცოვის ქ. № 12.
2) შემახა—ცხრამეტი თებერვლის ქ. № 4.
3) ავრორა—პლეხანოვის პროსპ. № 5.
4) ახუნდოვის ნომრები — ვორონცოვის ქ. № 35.
5) კარაბახი—ბბანოს ქ. № 4.
6) ადერბეიჯანი—ვორონცოვის ქუჩა № 24.
7) ბორჯომი—19 თებერვლის ქ № 93.
8) სამტრედია—მჭედლის ქ. № 2.
9) ირანი—ვორონცოვის ქ. № 26.

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში მეორე ოთახში საჯარო მაგიდის გამგე დარახველიძესთან. 3—1

ტირაჟი 700 საქართ. უწყებ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4. ნ. ფ. ს. ს.